


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კიდევ ერთი
საერთაშორისო აღიარება

2014 წლის 24 მაისიდან – 3 ივნისამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამშენებლო ფაკულტეტის სრული პროფესორი გივი გავარდაშვილი ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის ოფიციალური მიწვევით საერთაშორისო გრანტის მომზადების, ლექციებისა და პრეზენტაციების ჩატარების მიზნით მიწვეული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მიწვევა განხორციელდა ჩინეთის უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, ამ ორ სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, რომელსაც ხელი მოეწერა ქ. თბილისში 2007 წლის 11 აგვისტოს.

ლექციებისა და პრეზენტაციების თემატიკას წარმოადგენდა კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ბუნების სტიქიური მოვლენების დაზუსტებული პროგნოზირებისათვის მეთოდების სრულყოფა, სტიქიების რეგულირებისათვის ახალი რენტაბელური და რესურსმზოგი ღონისძიებების დამუშავება და მათი დაპროექტებისათვის მეთოდოლოგიის შემუშავება.

2014 წლის 30 მაისს მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიმართა პროფ. გ. გავარდაშვილის ღონისძიებათა მორიგი პრეზენტაცია, რომლის შემდეგ ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტსა და მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შორის.

პრეზენტაციების ციკლის დამთავრების შემდეგ 2014 წლის 30 მაისს გაიმართა ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც გივი გავარდაშვილს 2007-2014 წწ. განმავლობაში ჩინეთისა და საქართველოს მეცნიერებათა განვითარებისათვის შეტანილი წვლილის გამო, მიენიჭა ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება.



ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტში



მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში



მდ. იანძის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიაში

Urban and Environmental Science College , CCNU

D I P L O M A

This is to certify that

Dr. Givi Gavardashvili

**was awarded a title of honored professor
in Central China Normal University of natural geography**

Jing Luo  2014/05/30

**Prof. Jing Luo
Head of Urban and Environmental Science College**

